დანართი

მასწავლებლის შეფასების წესი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მასწავლებლის შეფასების წესის მიზანი და მოქმედების სფერო

1. მასწავლებლის შეფასების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია მასწავლებლის შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე წესისა და პროცედურების განსაზღვრა.
2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის მასწავლებლებზე.
3. ამ წესის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის მასწავლებლებზე, კერძო სამართლის იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში.
4. იმ შემთხვევაში თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ გამოავლენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ნებას, ვალდებულია მის მიერ დასაქმებული მასწავლებლები შეაფასოს შეფასების იმ სისტემით, რომელიც დაეფუძნება ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს.

მუხლი 2. მასწავლებლის შეფასების მიზანი და პრინციპები

1. მასწავლებლის შეფასების მიზანია:
ა) ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა;
ბ) მასწავლებლის შეფასების სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა;
2. მასწავლებლის შეფასება ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, ობიექტურობა, ვალიდობა, თანასწორობა, სანდოობა, გამჭვირვალობა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე - სქემით განსაზღვრული სტატუსის შესატყვისი კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების (შემდგომში - დოკუმენტები) ორგანიზებული კრებული;
ბ) თვითშეფასების კითხვარი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) მიერ შემუშავებული და დამტკიცებული

ფორმა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას, გეგმვას პროფესიულ საქმიანობას;
გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი (შემდგომში - ფასილიტატორი) - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი (მენტორი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ირჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით;
დ) განმავითარებელი შეფასება - მასწავლებლის შეფასება, რომელიც ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;
ე) გაკვეთილის შეფასების რუბრიკა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება გაკვეთილის შეფასების გაზომვად და ვალიდურ კრიტერიუმებს და არის მასწავლებლის გაკვეთილის შეფასების უნიფიცირებული ფორმა;
ვ) სქემა - მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა;
ზ) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
თ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის (შემდგომში - ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნების შესაბამისად;
ი) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;
კ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;
ლ) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;
მ) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული

მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს. ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა;
ნ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;
ო) გარე დაკვირვება - საკლასო დაკვირვება, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ხორციელდება ერთხელ;
პ) სამოდელო გაკვეთილი - წამყვანი მასწავლებლის ან მენტორის მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილი.

თავი II. მასწავლებლის შეფასება

მუხლი 4. მასწავლებლის შეფასების მიმართულებები
მასწავლებელი ფასდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ორი მიმართულებით:
ა) მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვა;
ბ) პროფესიული განვითარება.

მუხლი 5. მასწავლებლის შეფასების ტიპები
მასწავლებლის შეფასების ტიპებია:
ა) გარე შეფასება, რომელიც მოიცავს საგნის გამოცდასა და გარე დაკვირვებას;
ბ) შიდა შეფასება, რომელიც მოიცავს მასწავლებლის თვითშეფასებას და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასებას.

მუხლი 6. მასწავლებლის შეფასების ფორმები
მასწავლებლის შეფასება მოიცავს შემდეგ ფორმებს:
ა) მასწავლებლის თვითშეფასება;
ბ) საგნის გამოცდა;
გ) გარე დაკვირვება;
დ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასება.

მუხლი 7. მასწავლებლის თვითშეფასება
1. მასწავლებელი, საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით, ახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით. მასწავლებელი ვალდებულია, შეავსოს თვითშეფასების კითხვარი.
2. თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით მასწავლებელი:
ა) აფასებს საკუთარ საქმიანობას;
ბ) აანალიზებს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს;
გ) მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვის მიზნით ადგენს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმას;
დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს სასწავლო წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობას.

3. მასწავლებლის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსებისა და ასევე მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენის ვადები განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 8. საგნის გამოცდა

1. საგნობრივი კომპეტენციების დასადასტურებლად პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებულია ჩააბაროს იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლის.
2. საგნის გამოცდა ტარდება წლის განმავლობაში ორჯერ, პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღებში.
3. პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესი მტკიცდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ საგნის გამოცდის ჩაბარების შედეგებს განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 9. გარე დაკვირვება

1. უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის შემოწმების მიზნით, უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი ექვემდებარება გარე დაკვირვებას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში.
2. გარე დაკვირვების წესი მტკიცდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
3. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გარე დაკვირვების შედეგებს განათავსებს ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის.

მუხლი 10. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი

1. მასწავლებელს აფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შედგება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის, დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფასილიტატორისა და შესაბამისი საგნობრივი/საგნობრივი ჯგუფის კათედრის მიერ 3 წლის ვადით წარდგენილი წევრისაგან. კერძო სამართლის იურიდიულ პირში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის შეფასების ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ბრძანებით ქმნის მასწავლებლის შეფასების ჯგუფს/ჯგუფებს.
3. მასწავლებლის შეფასების ჯგუფს/ჯგუფებს ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი.
4. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას.
5. იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის ფორმირება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ან აღმოჩნდება, რომ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ან სხვა მიზეზის გამო არ არის ამ

მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მიმართოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია დაადგინოს მასწავლებლის შეფასების ჯგუფის ფორმირების ამ წესისაგან განსხვავებული წესი.

6. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი:

ა) მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე;

ბ) მასწავლებელს ანიჭებს კრედიტქულებს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე;

გ) აფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებს და ანიჭებს კრედიტქულებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) მასწავლებლისათვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

7. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებები, იმ შემთხვევაში თუ მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხდომას ესწრება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრთა უმრავლესობა მაგრამ არანაკლებ სამისა.

8. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრები.

მუხლი 11. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასების ფორმებია

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასების ფორმებია:

ა) გაკვეთილზე დაკვირვება და ჩატარებული გაკვეთილის შეფასება (პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლისათვის);

ბ) სამოდელო გაკვეთილის შეფასება (წამყვანი/მენტორი მასწავლებლისათვის);

გ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლისათვის).

მუხლი 12. გაკვეთილზე დაკვირვება და ჩატარებული გაკვეთილის შეფასება

1. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნებისათვის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ აკვირდება პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას.

2. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი პრაქტიკოს/უფროს მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევს მას განმავითარებელ შეფასებას წერილობითი ფორმით.

3. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვებების საფუძველზე, ანიჭებს პრაქტიკოს/უფროს მასწავლებელს კრედიტქულებს.

მუხლი 13. სამოდელო გაკვეთილის შეფასება

1. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნებისათვის, ან მენტორის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ათჯერ აკვირდება წამყვანი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილს და შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას.

2. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, მენტორის სტატუსის შენარჩუნებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ხუთჯერ აკვირდება მენტორის მიერ ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილს და შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას.

3. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, წამყვანი მასწავლებლის/მენტორის მიერ ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილზე დაკვირვებების საფუძველზე, ანიჭებს მას კრედიტქულებს.

მუხლი 14. მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება

1. მასწავლებელი ვალდებულია მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში განათავსოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. მასწავლებელი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტები.

3. მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების განთავსების ვადები განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 15. მასწავლებლის შეფასების შედეგების განთავსება ელექტრონულ სისტემაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 16. იმ მასწავლებლის შეფასება, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

1. ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე საგანს, ამ თავით დადგენილი წესით შიდა შეფასებას გადის ელექტრონული სისტემაში მის მიერ არჩეულ ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა საგანს, ამ თავით დადგენილი წესით შიდა შეფასებას გადის შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც მიეთითება ელექტრონულ სისტემაში.

თავი III. მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების გასაჩივრება

მუხლი 17. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენა

1. მასწავლებელს უფლება აქვს მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გასაჩივრების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმა და წარდგენის ვადები განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

მუხლი 18. საპრეტენზიო განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო

1. საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ქმნის საპრეტენზიო კომისიას და ამტკიცებს საპრეტენზიო კომისიის დებულებას.
2. საპრეტენზიო კომისიას საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას დახმარებას უწევს საგნობრივი ქვეკომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საპრეტენზიო კომისიის/საგნობრივი ქვეკომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა მასწავლებლის შეფასებასა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით წინადადების შემუშავებაში.

მუხლი 19. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება

1. საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
ა) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
ბ) საპრეტენზიო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
გ) საპრეტენზიო განაცხადის სრულად დაკმაყოფილების შესახებ;
დ) მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გაუქმების/ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. ამ შემთხვევაში საპრეტენზიო კომისია მასწავლებლის შეფასების ჯგუფს ავალებს მასწავლებლის განმეორებით შეფასებასა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით წინადადების განმეორებით წარდგენას.
2. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში წარედგინება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს.

თავი IV. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება

მუხლი 20. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება

1. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადების ან/და საპრეტენზიო კომისიის მიერ, ამ წესის III თავით დადგენილი წესით, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ;

გ) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

2. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ მიღებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V. მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი

მუხლი 21. მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი.

2. მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის წესს განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება და შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

თავი VI. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 22. ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლების შეფასების წესი

1. ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა) 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლები შეფასდებიან მათ პორტფოლიოში არსებული დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

2. მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლების შეფასების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, ქმნის კომისიებს და ამტკიცებს მათ დებულებებს.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით:

ა) განსაზღვრავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მუშაობისა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს;

ბ)ამტკიცებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკას/რუბრიკებს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის შეფასების მიზნით წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალსა და განცხადების ფორმას;

გ) განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს;

დ) განსაზღვრავს ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მიერ ამ პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლისათვის კრედიტქულების მინიჭების ვადებს.

4. ამ მუხლით დადგენილი წესით შეფასების საფუძველზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართულ მასწავლებელს კრედიტქულებად უღიარდება ამ წესის ამოქმედებამდე დაგროვებული კრედიტები.

5. მიუხედავად ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლისათვის აღიარებული კრედიტქულებისა, მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კრედიტების აღიარების შემდგომ, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებელი, მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნების ან სქემით განსაზღვრული მომდევნო სტატუსის მინიჭების მიზნით, კრედიტქულებს დააგროვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. იმ მასწავლებლის შეფასება, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი

პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ჩათვლით წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი, თავისუფლდება ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან.

მუხლი 24. იმ მასწავლებლის შეფასება, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი

იმ მასწავლებელს, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლების სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩააბარებს იმ საგნის გამოცდას, რომელსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 25. პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ საგნის გამოცდის ჩაბარების ვადა

1. პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებულია პრაქტიკოსი მასწავლების სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩააბაროს იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვერ/არ ჩააბარებს საგნის გამოცდას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გაწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამოცხადებული ვაკანსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებამდე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით დაიკავოს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის ერთ-ერთი თანამდებობა.

მუხლი 26. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარება 2015 წელს

2015 წელს საგნის გამოცდა ჩატარდება ერთხელ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში, გარდა მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის.

მუხლი 27. მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდის ჩატარება

მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდა ჩატარდება 2016 წელს პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში/თარიღებში.

მუხლი 28. სქემაში განაწილებული მასწავლებლების გარე დაკვირვება

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ ვრცელდება იმ მასწავლებელზე, რომელსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა სქემაში მასწავლებლების განაწილებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. სქემაში განაწილებული უფროსი მასწავლებლებისათვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება

სქემაში განაწილებულ უფროს მასწავლებელს, რომელიც გაივლის ამ წესით დადგენილ გარე დაკვირვებას და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მოიპოვებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

მუხლი 30. მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირება

1. 2015-2016 სასწავლო წელი განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების განმავლობაში მასწავლებლის შეფასების შედეგები ექვემდებარება კრედიტქულებად აღიარებას.

განმარტებითი ბარათი
„მასწავლებლის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის შეფასების წესის (შემდგომში - წესი) დამტკიცებას, რომლის მიზანია მასწავლებლის შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე წესისა და პროცედურების განსაზღვრა. ამ წესის მოქმედება გავრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის მასწავლებლებზე. ამასთან, ამ წესის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზე - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მის მასწავლებლებზე, კერძო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში. თუ კერძო სამართლის იურიდიული პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ გამოავლენს ამ ნებას, ვალდებული იქნება მის მიერ დასაქმებული მასწავლებლები შეაფასოს შეფასების იმ სისტემით, რომელიც დაეფუძნება ამ წესით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს.

მასწავლებლის შეფასების მიზანია ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა და მასწავლებლის შეფასების სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა. მასწავლებლის შეფასება დაეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, ობიექტურობა, ვალიდობა, თანასწორობა, სანდოობა, გამჭვირვალობა.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებელი შეფასდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ორი მიმართულებით: მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განვითარება.
მასწავლებლის შეფასების ტიპებად განისაზღვრება (ა) გარე შეფასება, რომელიც მოიცავს საგნის გამოცდასა და გარე დაკვირვებას და (ბ) შიდა შეფასება, რომელიც მოიცავს მასწავლებლის თვითშეფასებას და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასებას.

დადგენილების პროექტის შესაბამისად, მასწავლებლის შეფასება განხორციელდება შემდეგი ფორმით: (ა) მასწავლებლის თვითშეფასება, (ბ) საგნის გამოცდა, (გ) გარე დაკვირვება და (დ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასება.

მასწავლებელი, საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით, განახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით. თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით მასწავლებელი: (ა) შეაფასებს საკუთარ საქმიანობას, (ბ) გააანალიზებს საკუთარ პროფესიულ საჭიროებებს, (გ) მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვის მიზნით შეადგენს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმას, (დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზებს სასწავლო წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობას. მასწავლებლის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსებისა და ასევე

მასწავლებლის მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენის ვადები განისაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

საგნობრივი კომპეტენციების დასადასტურებლად პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებული იქნება ჩააბაროს იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლის. საგნის გამოცდა ჩატარდება წლის განმავლობაში ორჯერ, პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღებში. პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის საგნის გამოცდის ჩატარების წესი დამტკიცდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ საგნის გამოცდის ჩაბარების შედეგებს განათავსებს ელექტრონულ სისტემაში.

დადგენილების პროექტის შესაბამისად, უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის შემოწმების მიზნით, უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილი დაექვემდებარება გარე დაკვირვებას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებიდან ერთი წლის განმავლობაში. გარე დაკვირვების წესი დამტკიცდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გარე დაკვირვების შედეგებს განათავსებს ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებელს შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის, დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფასილიტატორისა და შესაბამისი საგნობრივი/საგნობრივი ჯგუფის კათედრის მიერ 3 წლის ვადით წარდგენილი წევრისაგან. კერძო სამართლის იურიდიულ პირში - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის შეფასების ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ბრძანებით შექმნის მასწავლებლის შეფასების ჯგუფს/ჯგუფებს, რომელსაც უხელმძღვანელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრი ვალდებული იქნება განაცხადოს თვითაცილება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი განახორციელებს მის შეფასებას.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, რომ თუ შეუძლებელი გახდება მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის ფორმირება ზემოაღნიშნული წესით ან აღმოჩნდება, რომ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი არ იქნება უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იქნება ვალდებულია მიმართოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც უფლებამოსილი იქნება დაადგინოს მასწავლებლის შეფასების ჯგუფის ფორმირების ამ წესისაგან განსხვავებული წესი.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებელს მისცემს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე, მასწავლებელს მიანიჭებს კრედიტქულებს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე, შეაფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებს და მიანიჭებს კრედიტქულებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასწავლებლისათვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, მიიღებს გადაწყვეტილებას

მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს ეს მოქმედებები, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხდომას დაესწრება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სამისა. მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაფორმდება მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს მოაწერენ დამსწრე წევრები.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებლის შეფასებას განახორციელებს გაკვეთილზე დაკვირვებისა და ჩატარებული გაკვეთილის შეფასების (პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლისათვის), სამოდელო გაკვეთილის შეფასებისა (წამყვანი/მენტორი მასწავლებლისათვის) და მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასების (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლისათვის) ფორმით.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნებისათვის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ დააკვირდება პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით შეაფასებს მას. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი პრაქტიკოს/უფროს მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში მისცემს მას განმავითარებელ შეფასებას წერილობითი ფორმით. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, პრაქტიკოსი/უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვებების საფუძველზე, მიანიჭებს პრაქტიკოს/უფროს მასწავლებელს კრედიტქულებს.

დადგენილების პროექტის შესაბამისად, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნებისათვის, ან მენტორის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ათჯერ დააკვირდება წამყვანი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილს და შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით შეაფასებს მას. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, მენტორის სტატუსის შენარჩუნებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ხუთჯერ დააკვირდება მენტორის მიერ ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილს და შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით შეაფასებს მას. ჩატარებულ სამოდელო გაკვეთილზე დაკვირვებების საფუძველზე, განხორციელდება კრედიტქულების მინიჭება.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, მასწავლებლის ვალდებულებას, მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში განათავსოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. მასწავლებელი ვალდებული იქნება ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტები. მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების განთავსების ვადები განისაზღვრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იქნება უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

დადგენილების პროექტის თანახმად, ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე საგანს, შიდა შეფასებას გაივლის ელექტრონული სისტემაში მის მიერ არჩეულ ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ხოლო, ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა საგანს, შიდა შეფასებას დაექვემდებარება შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც მითითებული იქნება ელექტრონულ სისტემაში.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის უფლებას, მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გასაჩივრების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი. აღნიშნული საპრეტენზიო განაცხადის ფორმა და წარდგენის ვადები უნდა განისაზღვროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის გათვალისწინებული ვადა არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები.

დადგენილების პროექტის მიხედვით, საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შექმნის საპრეტენზიო კომისიას და დაამტკიცებს საპრეტენზიო კომისიის დებულებას. საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილი ინება საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) საპრეტენზიო განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

გ) საპრეტენზიო განაცხადის სრულად დაკმაყოფილების შესახებ;

დ) მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გაუქმების/ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. ამ შემთხვევაში საპრეტენზიო კომისია მასწავლებლის შეფასების ჯგუფს ავალებს მასწავლებლის განმეორებით შეფასებასა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით წინადადების განმეორებით წარდგენას. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება, მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში წარდგენილ იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორისთვის.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადების ან/და საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ;
ბ) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ;
გ) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. მითითებული გადაწყვეტილებები გასაჩივრდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილი იქნება მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი, რომლის წესსაც განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება და შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დადგენილების პროექტის მიხედვით, ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემა) 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლები შეფასდებიან მათ პორტფოლიოში არსებული დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე. ამ მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, შექმნის კომისიებს და დაამტკიცებს მათ დებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ წესით შეფასების საფუძველზე მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართულ მასწავლებელს კრედიტქულებად უღიარდება ამ წესის ამოქმედებამდე დაგროვებული კრედიტები. მიუხედავად სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლისათვის აღიარებული კრედიტქულებისა, მასწავლებელი ვალდებული იქნება განახორციელოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები. კრედიტების აღიარების შემდგომ, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებელი, მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნების ან სქემით განსაზღვრული მომდევნო სტატუსის მინიჭების მიზნით, კრედიტქულებს დააგროვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტით განსაზღვრულია, რომ პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ჩათვლით წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის

სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი, გათავისუფლდება ამ დადგენილების პროექტის დანართის მე-8 მუხლით გათვალისწინებული საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან.

დადგენილების პროექტის თანახმად, იმ მასწავლებელს, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლების სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩააბარებს იმ საგნის გამოცდას, რომელსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დადგენილების პროექტის მიხედვით, პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებული იქნება პრაქტიკოსი მასწავლების სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩააბაროს იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ამ ვადის განმავლობაში ვერ/არ ჩააბარებს საგნის გამოცდას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იქნება გაწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამოცხადებული ვაკანსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებამდე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება მიენიჭება შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით დაიკავოს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის ერთ-ერთი თანამდებობა.

დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია, რომ 2015 წელს საგნის გამოცდა უნდა ჩატარდეს ერთხელ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში, გარდა მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის. ხოლო, მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდა უნდა ჩატარდეს 2016 წელს პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში/თარიღებში.

დადგენილების პროექტის თანახმად, სქემაში განაწილებულ უფროს მასწავლებელს, რომელიც გაივლის ამ წესით დადგენილ გარე დაკვირვებას და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მოიპოვებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

დადგენილების პროექტის მიხედვით, 2015-2016 სასწავლო წელი განისაზღვრება მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების განმავლობაში მასწავლებლის შეფასების შედეგები დაექვემდებარება კრედიტქულებად აღიარებას.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტის მიხედვით მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდა ჩატარდება 2016 წელს პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში/თარიღებში.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი მასწავლებლების განაწილებას მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (შემდგომში - სქემა).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის (შემდგომში - ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;

ვ) მოქმედი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა;

ზ) საგნის გამოცდა - სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა;

თ) სერტიფიცირებული მასწავლებელი - მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი;
ი) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს. ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა.

მუხლი 3. მოქმედი მასწავლებლების განაწილება სქემაში
მოქმედი მასწავლებლები სქემაში განაწილდებიან შემდეგი წესით:
ა) პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელიც არ არის სერტიფიცირებული მასწავლებელი და მასწავლებელს, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს;
ბ) უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:
ბ.ა) ამ წესის ამოქმედების დროისათვის, არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;
ბ.ბ) 2014 წლის ბოლომდე წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, 2015 წლის ზაფხულის ჩათვლით წარმატებით ჩააბარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საგნის გამოცდას და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;
ბ.გ) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
გ) წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;
დ) მოქმედ მასწავლებელს მენტორის სტატუსი მიენიჭება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები
1. მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით, ელექტრონულ სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი მასწავლებლების შესახებ განთავსდება შემდეგი მონაცემები:
ა) მოქმედი მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით), ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის მიერ მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ან მისი ცალკეული ნაწილის წარმატებით დაძლევის, ასევე საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შესახებ;
გ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის განათლების, აკადემიური ხარისხის შესახებ;
დ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის სტაჟის შესახებ.
2. მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა ელექტრონულ სისტემაში.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი მასწავლებელი.
4. ელექტრონულ სისტემაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების სრულყოფილად და დროულად განთავსებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.
5. ელექტრონულ სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების განთავსებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ატვირთვის ვადები განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები არის მოქმედი მასწავლებლის სქემაში განაწილების საფუძველი.
7. მოქმედი მასწავლებლის სქემაში განაწილებისა და მისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოიცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
8. მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილება დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატით.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

მოქმედი მასწავლებლები სქემაში განაწილდებიან 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

განმარტებითი ბარათი

,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (შემდგომში - სქემა) მასწავლებლების განაწილების წესის (შემდგომში - წესი) დამტკიცებას. დადგენილების პროექტის თანახმად მოქმედი მასწავლებლები სქემაში განაწილდებიან შემდეგი წესით:

ა) პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელიც არ არის სერტიფიცირებული მასწავლებელი და მასწავლებელს, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ ჩამონათვალის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ბ.ა) ამ წესის ამოქმედების დროისათვის, არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

ბ.ბ) 2014 წლის ბოლომდე წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, 2015 წლის ზაფხულის ჩათვლით წარმატებით ჩააბარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საგნის გამოცდას და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

ბ.გ) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

დ) მოქმედ მასწავლებელს მენტორის სტატუსი მიენიჭება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტის მიხედვით მოქმედი მასწავლებლები სქემაში განაწილდებიან 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზები და საშუალებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზები და საშუალებები აღწერს სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების პროცესსა და საშუალებებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე - სქემით განსაზღვრული სტატუსის შესატყვისი კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების (შემდგომში - დოკუმენტები) ორგანიზებული კრებული;

გ) თვითშეფასების კითხვარი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას, გეგმვას პროფესიულ საქმიანობას;

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი (შემდგომში - ფასილიტატორი) - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი (მენტორი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ირჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით;

ე) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი - მასწავლებლის შეფასების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი;

ვ) განმავითარებელი შეფასება - მასწავლებლის შეფასება, რომელიც ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;

ზ) გაკვეთილის შეფასების რუბრიკა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება

გაკვეთილის შეფასების გაზომვად და ვალიდურ კრიტერიუმებს და არის მასწავლებლის გაკვეთილის შეფასების უნიფიცირებული ფორმა;
თ) მასწავლებლის სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შეფასების რუბრიკა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სტანდარტიზებული ინსტრუმენტი/ინსტრუმენტები, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტები;
ი) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
კ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;
ლ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;
მ) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას.
ნ) საგნის გამოცდა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა;
ო) გარე დაკვირვება - საკლასო დაკვირვება, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ხორციელდება ერთხელ.
პ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;
ჟ) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს. ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა;
რ) სამოდელო გაკვეთილი - წამყვანი მასწავლებლის ან მენტორის მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილი.

მუხლი 3. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და საშუალებები

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლის გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებებია:
ა) პრაქტიკოსი მასწავლებლის თვითშეფასება - პრაქტიკოსი მასწავლებელი, საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით, თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით

ახორციელებს თვითშეფასებას. პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებულია, შეავსოს თვითშეფასების კითხვარი;
ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა - თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე, პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვის მიზნით, პრაქტიკოსი მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება - პრაქტიკოსი მასწავლებელი ფასილიტატორის დახმარებით და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე, ახორციელებს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
დ) საგნის გამოცდის ჩაბარება - პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებულია ჩააბაროს იმ საგნის გამოცდა, რომელსაც ასწავლის;
ე) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვება - მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ აკვირდება პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას;
ვ) მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ზ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება - პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებულია პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობების, ასევე დამატებითი საქმიანობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში, ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში;
თ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ პრაქტიკოსი მასწავლებლის შეფასება - მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს პრაქტიკოსი მასწავლებლის მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებს მასწავლებლის სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შეფასების რუბრიკის გამოყენებით, ანიჭებს მას კრედიტქულებს და იღებს გადაწყვეტილებას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

მუხლი 4. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და საშუალებები

1. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებებია:
ა) უფროსი მასწავლებლის თვითშეფასება - უფროსი მასწავლებელი, საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით, თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით ახორციელებს თვითშეფასებას. უფროსი მასწავლებელი ვალდებულია, შეავსოს თვითშეფასების კითხვარი;
ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა - თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე, პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვის მიზნით, უფროსი მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;

გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება - უფროსი მასწავლებელი ფასილიტატორის დახმარებით და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე, ახორციელებს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
დ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება - უფროსი მასწავლებელი ვალდებულია უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში, ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში;
ე) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება - მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს უფროსი მასწავლებლის მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებს მასწავლებლის სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შეფასების რუბრიკის გამოყენებით და ანიჭებს მას კრედიტქულებს;
ვ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვება - მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ აკვირდება უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას;
ზ) გარე დაკვირვება - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში ერთხელ აკვირდება უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და აფასებს მას გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით;
თ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება - მასწავლებლის შეფასებისა და მისთვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.
2. უფროს მასწავლებელს, რომელიც გაივლის გარე დაკვირვებას და რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

მუხლი 5. მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და საშუალებები

მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებებია:
ა) წამყვანი მასწავლებლის თვითშეფასება - წამყვანი მასწავლებელი, საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნით, თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით ახორციელებს თვითშეფასებას. წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია, შეავსოს თვითშეფასების კითხვარი;
ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა - თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე, პროფესიულ საქმიანობის დაგეგმვის მიზნით, წამყვანი მასწავლებელი ადგენს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება - წამყვანი მასწავლებელი ფასილიტატორის დახმარებით და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე, ახორციელებს ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;

დ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება - წამყვანი მასწავლებელი ვალდებულია მენტორის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში, ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში;
ე) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება - მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს წამყვანი მასწავლებლის მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებულ დოკუმენტებს მასწავლებლის სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შეფასების რუბრიკის გამოყენებით და ანიჭებს მას კრედიტქულებს;
ვ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება - წამყვანი მასწავლებელი მენტორის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში ატარებს სამოდელო გაკვეთილს/გაკვეთილებს, რომელსაც/რომლებსაც აკვირდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფი და შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით აფასებს მას და ანიჭებს მას კრედიტქულებს;
ზ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება - მასწავლებლის შეფასებისა და მისთვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

განმარტებითი ბარათი
„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზებისა და

საშუალებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზებისა და საშუალებების დამტკიცებას. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზები და საშუალებები აღწერს სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების პროცესსა და საშუალებებს.

დადგენილების პროექტის მიხედვით, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლის გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებები იქნება: (ა) პრაქტიკოსი მასწავლებლის თვითშეფასება; (ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა; (გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება; (დ) საგნის გამოცდის ჩაბარება; (ე) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვება; (ვ)მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; (ზ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება; (თ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ პრაქტიკოსი მასწავლებლის შეფასება.

დადგენილების პროექტის თანახმად, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებები იქნება: (ა) უფროსი მასწავლებლის თვითშეფასება; (ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა; (გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება; (დ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება; (ე) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება; (ვ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვება; (ზ) გარე დაკვირვება; (თ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლის მიერ გასავლელი გზა და გამოსაყენებელი საშუალებები იქნება: (ა) წამყვანი მასწავლებლის თვითშეფასება; (ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა; (გ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის განხორციელება; (დ) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში დოკუმენტების განთავსება; (ე) მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შეფასება; (ვ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება; (ზ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალის (შემდგომში - ჩამონათვალი) დამტკიცების მიზანია მასწავლებლის დახმარება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მინიჭების/შენარჩუნების მიზნით კრედიტქულების დაგროვებაში.

2. სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები და საქმიანობები ეფუძნება ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) განსაზღვრულ პროფესიულ მახასიათებლებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ჩამონათვალში გამოყენებულ ტერმინებს ამ ჩამონათვალის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის (შემდგომში - ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური

პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;
ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას.
ვ) თვითშეფასების კითხვარი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას, გეგმავს პროფესიულ საქმიანობას;
ზ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი - მასწავლებლის შეფასების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.
თ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;
ი) საგნის გამოცდა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებული გამოცდა;
კ) სამოდელო გაკვეთილი - წამყვანი მასწავლებლის ან მენტორის მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილი;
ლ) გარე დაკვირვება - საკლასო დაკვირვება, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ხორციელდება ერთხელ.

მუხლი 3. სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო საქმიანობები
სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო საქმიანობები განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და მასწავლებელსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები
1. სქემით განსაზღვრული უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობებია:
ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება;
ბ) საგნის გამოცდის ჩაბარება;
გ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
დ) მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. სქემით განსაზღვრული წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობებია:
ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება;
ბ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;

გ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
დ) საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა;
3. სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობებია:
ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება;
ბ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება;
გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა;
დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა.
4. სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობებია:
ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება;
ბ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება;
გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა;
დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა;
ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა;
ვ) მასწავლებლების საჭიროების შეფასება და მის საფუძველზე მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების წარმართვა;
ზ) სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

მასწავლებლისათვის, რომელსაც წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა სქემაში მასწავლებლების განაწილებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სქემით განსაზღვრული წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, სავალდებულო აქტივობად ამ ჩამონათვალის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, სავალდებულოა ერთი გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

განმარტებითი ბარათი
„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცებას. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსების მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებისა და საქმიანობების ჩამონათვალი მასწავლებელს დახმარება სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების/შენარჩუნების მიზნით კრედიტქულების დაგროვებაში.

დადგენილების პროექტის მიხედვით, სქემით განსაზღვრული უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები იქნება: (ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება; (ბ) საგნის გამოცდის ჩაბარება; (გ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას განახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი; (დ) მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სქემით განსაზღვრული წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები იქნება: (ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება; (ბ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას განახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი; (გ) გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას განახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; (დ) საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები იქნება: (ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება; (ბ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება; (გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა; (დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა. სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობები იქნება: (ა) თვითშეფასების კითხვარის წარმოება; (ბ) სამოდელო გაკვეთილის ჩატარება; (გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული

ლიტერატურის შექმნა; (დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა; (ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა; (ვ) მასწავლებლების საჭიროების შეფასება და მის საფუძველზე მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების წარმართვა; (ზ) სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებლისათვის, რომელსაც წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა სქემაში მასწავლებლების განაწილებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სქემით განსაზღვრული წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, სავალდებულო აქტივობად სქემით განსაზღვრული მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლისათვის ზემოაღნიშნული სავალდებულო აქტივობების გარდა, სავალდებულო იქნება ერთი გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას განახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესის (შემდგომში - წესი) მიზანია, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსების მოქმედი მასწავლებლებისათვის მინიჭების წესისა და პროცედურის განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) მასწავლებლის შეფასება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომლის საფუძველზეც ხდება ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან მასწავლებლის შესაბამისობის დადგენა;

გ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;

დ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი - მასწავლებლის შეფასების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი;

ე) მოქმედი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა;

ვ) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს. ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა;

ზ) საპრეტენზიო კომისია - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია, რომელიც განიხილავს მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებთან და

მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ წარდგენილ წინადადებასთან დაკავშირებულ მასწავლებლის საპრეტენზიო განაცხადებს.

მუხლი 3. სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესი

1. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებლის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებლისთვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

3. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადების ან/და საპრეტენზიო კომისიის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ;

ბ) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ;

გ) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის ან მენტორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

4. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ მიღებული, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების დადასტურება

1. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭება დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით, რომლის ფორმა მტკიცდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 2 თვის ვადაში, უზრუნველყოფს მასწავლებლის სერტიფიკატების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის (შემდგომში - საგანმანათლებლო რესურსცენტრი)

გადაცემას, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც დასაქმებულია მასწავლებელი.
3. საგანმანათლებლო რესურსცენტრი მასწავლებლის სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს შესაბამის პირებზე მასწავლებლის სერტიფიკატების გაცემას.

განმარტებითი ბარათი
,,მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესის დამტკიცებას. მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესი არეგულირებს სქემით განსაზღვრული სტატუსების მოქმედი მასწავლებლებისათვის მინიჭების წესსა და პროცედურას.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებლის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებლისთვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) წარდგენის შესახებ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსებას ელექტრონულ სისტემაში. მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადების ან/და საპრეტენზიო კომისიის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: (ა) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ; (ბ) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის, ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ; (გ) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის ან მენტორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭება დადასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით, რომლის ფორმა დამტკიცდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

კრედიტქულების დაგროვების ვადები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

კრედიტქულების დაგროვების ვადები ადგენს მასწავლებლის მიერ, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულების დაგროვების ვადებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;

ვ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;

ზ) საგნის გამოცდა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებული გამოცდა;

თ) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს.

ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა.

მუხლი 3. პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადები

1. პრაქტიკოსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს აგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ვერ დააგროვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ კრედიტქულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გაწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამოცხადებული ვაკანსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებამდე, ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით დაიკავოს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის ერთ-ერთი თანამდებობა.

მუხლი 4. უფროსი მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადები

1. უფროსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს აგროვებს ყოველი ოთხი წლის განმავლობაში.
2. უფროსი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს აგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში.
3. იმ შემთხვევაში, თუ უფროსი მასწავლებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, უფროსი მასწავლებლის შეფასების შედეგების საფუძველზე, შედგება მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების არაუმეტეს ერთ წლიანი გეგმა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობით.
5. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის მოთხოვნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართავს ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც დასაქმებულია უფროსი მასწავლებელი.
6. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია უფროსი მასწავლებელი.
7. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის შემთხვევაში, უფროსი მასწავლებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფასდება მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
8. იმ შემთხვევაში, თუ უფროსი მასწავლებელი მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეწყვიტოს მასთან შრომითი

ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. წამყვანი მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადები

1. წამყვანი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს აგროვებს ყოველი ხუთი წლის განმავლობაში.
2. წამყვანი მასწავლებელი მენტორის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს აგროვებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში.
3. იმ შემთხვევაში თუ წამყვანი მასწავლებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, მას შეუწყდება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

მუხლი 6. მენტორის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადები

1. მენტორი მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს აგროვებს არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.
2. იმ შემთხვევაში თუ მენტორი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში ვერ დააგროვებს მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, მას შეუწყდება მენტორის სტატუსი და მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.
3. მენტორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულების დაგროვების შემთხვევაში, მენტორს მენტორის სტატუსი უნარჩუნდება უვადოდ.

მუხლი 7. კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერება/აღდგენა

1. მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერების საფუძველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან მასწავლებლის შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა.
2. მასწავლებელი კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერების განცხადებით მიმართავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას.
3. მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადის აღდგენის საფუძველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის შრომითი ურთიერთობის აღდგენა/ახალი შრომითი ურთიერთობის წარმოშობა.
4. მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადა ჩერდება და აღდგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსოს ელექტრონულ სისტემაში.
5. მასწავლებელი უფლებამოსილია მასწავლებლის შეფასების ჯგუფს წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების/შეწყვეტის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც ექვემდებარება შეფასებას მასწავლებლის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ვადების ათვლა

ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით

გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება სქემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებლების განაწილების დღიდან.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებანი

1. მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის, რომელთათვისაც საგნის გამოცდის ჩატარებას ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ამ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შედეგი დადგება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მათთვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებისას.

2. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებამდე მასწავლებლები ინარჩუნებენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს.

3. 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, რის გამოც, ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე დამატებით, სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად მასწავლებელს მიეცემა ერთი წელი.

განმარტებითი ბარათი

,,კრედიტქულების დაგროვების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულების დაგროვების ვადების დადგენას.

დადგენილების პროექტის თანახმად, პრაქტიკოსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს დააგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ვერ დააგროვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ კრედიტქულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იქნება გაწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამოცხადებული ვაკანსიის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებამდე, აღნიშნულ პირს უფლება ექნება შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით დაიკავოს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის ერთ-ერთი თანამდებობა.

დადგენილების პროექტის მიხედვით, უფროსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს დააგროვებს ყოველი ოთხი წლის განმავლობაში, ხოლო უფროსი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს დააგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ უფროსი მასწავლებელი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, უფროსი მასწავლებლის შეფასების შედეგების საფუძველზე, შედგება მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების არაუმეტეს ერთ წლიანი გეგმა. ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება განხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობით. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის მოთხოვნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს) მიმართავს ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც დასაქმებულია უფროსი მასწავლებელი. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი იქნება უფროსი მასწავლებელი. მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმის შედგენის შემთხვევაში, უფროსი მასწავლებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეფასდება მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ უფროსი მასწავლებელი მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იქნება შეწყვიტოს მასთან შრომითი

ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტის შესაბამისად, წამყვანი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს დააგროვებს ყოველი ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო წამყვანი მასწავლებელი მენტორის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტქულებს დააგროვებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ წამყვანი მასწავლებელი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, მას შეუწყდება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

დადგენილების პროექტის თანახმად, მენტორი მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს დააგროვებს არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ მენტორი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, მას შეუწყდება მენტორის სტატუსი და მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. მენტორის მიერ მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულების დაგროვების შემთხვევაში, მენტორს მენტორის სტატუსი უნარჩუნდება უვადოდ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დადგენილების პროექტი არეგულირებს კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერების/აღდგენის წესს, კერძოდ დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერების საფუძველი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან მასწავლებლის შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა. მასწავლებელი კრედიტქულების დაგროვების ვადის შეჩერების განცხადებით მიმართავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას. მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადის აღდგენის საფუძველი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასა და მასწავლებელს შორის შრომითი ურთიერთობის აღდგენა/ახალი შრომითი ურთიერთობის წარმოშობა. მასწავლებლის მიერ კრედიტქულების დაგროვების ვადა შეჩერდება და აღდგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იქნება აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსოს ელექტრონულ სისტემაში.

მასწავლებელი უფლებამოსილი იქნება მასწავლებლის შეფასების ჯგუფს წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების/შეწყვეტის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაექვემდებარება შეფასებას მასწავლებლის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტის თანახმად, კრედიტქულების დაგროვების ვადების ათვლა იწყება სქემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მასწავლებლების განაწილების დღიდან.

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ასევე გარდამავალ დებულებებს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რომ მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის, რომელთათვისაც საგნის გამოცდის ჩატარებას შესაბამისი სტატუსისათვის გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შედეგი დადგება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული

ცენტრის მიერ მათთვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებისას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებამდე მასწავლებლები შეინარჩუნებენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს.

დადგენილების პროექტით დგინდება, რომ 2015-2016 სასწავლო წელი იქნება მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წელი, რის გამოც, დადგენილების პროექტის დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე დამატებით, სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად მასწავლებელს მიეცემა ერთი წელი.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით კრედიტქულები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ დანართის რეგულირების სფეროა მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტქულების რაოდენობის განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;

ვ) საგნის გამოცდა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) მიერ ორგანიზებული გამოცდა;

ზ) გარე დაკვირვება - საკლასო დაკვირვება, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ხორციელდება ერთხელ;

თ) გარე შეფასება - მოიცავს საგნის გამოცდასა და გარე დაკვირვებას;

ი) შიდა შეფასება - მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ მასწავლებლის თვითშეფასებასა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასებას;
კ) შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი - სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შეფასების უნიფიცირებული საშუალება;
ლ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული.

მუხლი 3. მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები
მასწავლებლის შეფასება ეფუძნება ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელი ფასდება შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტით გათვალისწინებული გაზომვადი კრიტერიუმებით.

მუხლი 4. საგნის გამოცდისა და გარე დაკვირვების შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტის შემუშავება და დამტკიცება
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს საგნის გამოცდისა და გარე დაკვირვების შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტს, რომელიც მტკიცდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების შემუშავება და დამტკიცება
1. ამ დანართის მეოთხე მუხლით გათვალისწინებული გარე დაკვირვების შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გამოიყენება შიდა შეფასებისას მასწავლებლის გაკვეთილზე დაკვირვებისათვის.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შიდა შეფასებისათვის შეიმუშავებს შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს, რომელიც მტკიცდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით კრედიტქულები
შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტზე დაფუძნებით დგინდება სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტქულების რაოდენობა შემდეგი წესით:
ა) პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 19 კრედიტქულა;
ბ) უფროსმა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 13 კრედიტქულა;
გ) უფროსმა მასწავლებელმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 19 კრედიტქულა;

დ) წამყვანმა მასწავლებელმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 17 კრედიტქულა;
ე) წამყვანმა მასწავლებელმა მენტორის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 25 კრედიტქულა;
ვ) მენტორმა მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 30 კრედიტქულა.

განმარტებითი ბარათი
,,მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით კრედიტქულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

დადგენილების პროექტის შესაბამისად, მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტქულების რაოდენობა.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებლის შეფასება დაეფუძნება ,,მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელი შეფასდება შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტით გათვალისწინებული გაზომვადი კრიტერიუმებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს საგნის გამოცდისა და გარე დაკვირვების შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტს, რომელიც დამტკიცდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული გარე დაკვირვების შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გამოიყენება შიდა შეფასებისას მასწავლებლის გაკვეთილზე დაკვირვებისათვის. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შიდა შეფასებისათვის შეიმუშავებს შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს, რომელიც მტკიცდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

დადგენილების პროექტის თანახმად, შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტზე დაფუძნებით სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტქულები დგინდება შემდეგი წესით: (ა) პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 19 კრედიტქულა; (ბ) უფროსმა მასწავლებელმა უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 13 კრედიტქულა; (გ) უფროსმა მასწავლებელმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 19 კრედიტქულა; (დ) წამყვანმა მასწავლებელმა წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 17 კრედიტქულა; (ე) წამყვანმა მასწავლებელმა მენტორის სტატუსის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს 25 კრედიტქულა; (ვ) მენტორმა მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად უნდა დააგროვოს 30 კრედიტქულა.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება

მუხლი 1. მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების მიზანი
მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება დამტკიცების მიზანია მასწავლებლის დახმარება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მინიჭებაში/შენარჩუნებაში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება
ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ა) დამატებითი საქმიანობა - არჩევითი საქმიანობა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს უფროსი მასწავლებლის/წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსის მინიჭებისა და მენტორის სტატუსის შენარჩუნებისათვის აუცილებელი რაოდენობის კრედიტქულების დაგროვებაში;
ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;
დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;
ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;
ვ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;
ზ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი - მასწავლებლის შეფასების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.

მუხლი 3. მასწავლებლის დამატებითი საქმიანობები
1. მასწავლებლის დამატებითი საქმიანობებია:
ა) პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა;
ბ) სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით, რომელიც დადასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენით;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა);
დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი შემდეგი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა:
დ.ა) სტატია (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა);
დ.ბ) მეთოდური ლიტერატურა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა);
დ.გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;
ე) სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება (მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის);
ვ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულის ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა;
ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა;
თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა.
2. მასწავლებელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დამატებითი საქმიანობებისათვის გათვალისწინებული კრედიტქულების რაოდენობის ფარგლებში, განსახორციელებლად ირჩევს ერთ ან რამდენიმე დამატებით საქმიანობას.
3. პრაქტიკოს მასწავლებელს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში განხორციელებული დამატებითი საქმიანობების შესაბამისი კრედიტქულები უღიარდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შემდგომ.

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

1. სერტიფიცირებულ მასწავლებელს, რომელსაც ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა და რომელიც არ ყოფილა ჩართული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში (შემდგომში - მოქმედი მასწავლებელი) კრედიტქულებად უღიარდება მის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული შემდეგი დამატებითი საქმიანობები:
ა) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება იმ საგანში (რომელიც არ იქნა გამოყენებული სქემაში მასწავლებლის განაწილებისას), რომელსაც ასწავლის მოქმედი

მასწავლებელი (2 კრედიტქულა). მასწავლებელს, რომელიც არ ასწავლის იმ საგანს(რომელიც არ იქნა გამოყენებული სქემაში მასწავლებლის განაწილებისას), რომელშიც ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, კრედიტქულებად უღიარდება მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სტატუსისათვის გათვალისწინებულ ვადაში დაიწყებს შესაბამისი საგნის სწავლებას;

ბ) საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარება (1 კრედიტქულა);

გ) იმ საგანში, რომელსაც ასწავლის მოქმედი მასწავლებელი ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა გამოცდის წარმატებით ჩაბარება (2 კრედიტქულა). მასწავლებელს, რომელიც არ ასწავლის იმ საგანს, რომელშიც ჩაბარებული აქვს ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა გამოცდა, კრედიტქულებად უღიარდება აღნიშნული გამოცდის ჩაბარება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განმავლობაში დაიწყებს შესაბამისი საგნის სწავლებას;

2. მოქმედი მასწავლებლის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული დამატებითი საქმიანობების კრედიტქულებად აღიარების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, ქმნის კომისიებს და ამტკიცებს მათ დებულებებს.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით:

ა) განსაზღვრავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მუშაობისა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს;

ბ) ამტკიცებს მოქმედი მასწავლებლის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული დამატებითი საქმიანობების შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკას/რუბრიკებს, მოქმედი მასწავლებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალსა და განცხადების ფორმას;

გ) განსაზღვრავს მოქმედი მასწავლებლის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს;

დ) განსაზღვრავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მიერ ამ პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვისა და მოქმედი მასწავლებლისათვის კრედიტქულების მინიჭების ვადებს.

4. მიუხედავად ამ მუხლით დადგენილი წესით მოქმედი მასწავლებლისათვის აღიარებული კრედიტქულებისა, მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული აღიარების შემდგომ, მოქმედი მასწავლებელი, მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების ან მომდევნო სტატუსის მინიჭების მიზნით, კრედიტქულებს დააგროვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განმარტებითი ბარათი

„მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცებას, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება. მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების, რომელიც მას კრედიტქულების დაგროვებაში დაეხმარება, მიზანია მასწავლებლის დახმარება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მინიჭებაში/შენარჩუნებაში.

დადგენილების პროექტის მიხედვით, მასწავლებლის დამატებითი საქმიანობები იქნება: (ა) პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა; (ბ) სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით, რომელიც დადასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენით; (გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა); (დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი შემდეგი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა: (დ.ა) სტატია (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა); (დ.ბ) მეთოდური ლიტერატურა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა); (დ.გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; (ე) სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება (მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის); (ვ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულის ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა; (ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა; (თ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებელი ზემოაღნიშნული დამატებითი საქმიანობებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დამატებითი საქმიანობებისათვის გათვალისწინებული კრედიტქულების რაოდენობის ფარგლებში, განსახორციელებლად აირჩევს ერთ ან რამდენიმე დამატებით საქმიანობას. პრაქტიკოს მასწავლებელს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში განხორციელებული დამატებითი საქმიანობების შესაბამისი კრედიტქულები უღიარდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შემდგომ.

დადგენილების პროექტის მიხედვით, სერტიფიცირებულ მასწავლებელს, რომელსაც ამ დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაკავებული ექნება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის

პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა და რომელიც არ ყოფილა ჩართული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N90/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში (შემდგომში - მოქმედი მასწავლებელი) კრედიტქულებად უღიარდება მის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული შემდეგი დამატებითი საქმიანობები: (ა) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება იმ საგანში (რომელიც არ იქნება გამოყენებული სქემაში მასწავლებლის განაწილებისას), რომელსაც ასწავლის მოქმედი მასწავლებელი (2 კრედიტქულა). მასწავლებელს, რომელიც არ ასწავლის იმ საგანს (რომელიც არ იქნება გამოყენებული სქემაში მასწავლებლის განაწილებისას), რომელშიც ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, კრედიტქულებად უღიარდება მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სტატუსისათვის გათვალისწინებულ ვადაში დაიწყებს შესაბამისი საგნის სწავლებას; (ბ) საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარება (1 კრედიტქულა); (გ) იმ საგანში, რომელსაც ასწავლის მოქმედი მასწავლებელი ამ დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა გამოცდის წარმატებით ჩაბარება (2 კრედიტქულა). მასწავლებელს, რომელიც არ ასწავლის იმ საგანს, რომელშიც ჩაბარებული აქვს ამ დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა გამოცდა, კრედიტქულებად უღიარდება აღნიშნული გამოცდის ჩაბარება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განმავლობაში დაიწყებს შესაბამისი საგნის სწავლებას;

დადგენილების პროექტის თანახმად, მოქმედი მასწავლებლის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული დამატებითი საქმიანობების კრედიტქულებად აღიარების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, შექმნის კომისიებს და დაამტკიცებს მათ დებულებებს. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით: (ა) განსაზღვრავს ამ დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მუშაობისა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს; (ბ) დაამტკიცებს მოქმედი მასწავლებლის მიერ ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე განხორციელებული დამატებითი საქმიანობების შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკას/რუბრიკებს, მოქმედი მასწავლებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალსა და განცხადების ფორმას; (გ) განსაზღვრავს მოქმედი მასწავლებლის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს; (დ) განსაზღვრავს ამ დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მიერ ამ პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვისა და მოქმედი მასწავლებლისათვის კრედიტქულების მინიჭების ვადებს. მიუხედავად ამ მუხლით დადგენილი წესით მოქმედი მასწავლებლისათვის აღიარებული კრედიტქულებისა, მასწავლებელი ვალდებული იქნება განახორციელოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები. ამ მუხლით გათვალისწინებული აღიარების შემდგომ, მოქმედი მასწავლებელი, მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების ან მომდევნო სტატუსის მინიჭების მიზნით, კრედიტქულებს დააგროვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.

დანართი

კრედიტქულების შეწონვის წესი, კრედიტქულების განაწილების პრინციპები და კრედიტქულების გაანგარიშების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ამ დანართის მიზანია კრედიტქულების შეწონვის წესის, კრედიტქულების განაწილების პრინციპებისა და კრედიტქულების გაანგარიშების წესის განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს ამ დანართის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსი (შემდგომში - სქემით განსაზღვრული სტატუსი) - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

დ) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ე) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;

ვ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;

ზ) დამატებითი საქმიანობა - არჩევითი საქმიანობა, რომელიც ეხმარება მასწავლებელს უფროსი მასწავლებლის/წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსის მინიჭებისა და მენტორის სტატუსის შენარჩუნებისათვის აუცილებელი რაოდენობის კრედიტქულების დაგროვებაში.

მუხლი 3. კრედიტქულების შეწონვის წესი

1. კრედიტქულების შეწონვის წესი ადგენს სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების წილების შემდეგ განაწილებას:

სქემით განსაზღვრული სტატუსი	სავალდებულო აქტივობების წილი	სავალდებულო აქტივობების წილის შესატყვისი კრედიტქულები	დამატებითი საქმიანობის წილი	დამატებითი საქმიანობის წილის შესატყვისი კრედიტქულები	კრედიტქულების ჯამი
უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად	100.0%	19	-	-	19
უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად	69.2%	9	30.8%	4	13
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად	68.4%	13	31.6%	6	19
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად	58.8%	10	41.2%	7	17
მენტორის სტატუსის მისანიჭებლად	60.0%	15	40.0%	10	25
მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად	50.0%	15	50.0%	15	30

2. მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის განმეორებით შენარჩუნების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების შეცვლა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს სქემით განსაზღვრული სტატუსის შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ დასაგროვებელი კრედიტქულების ჯამის ცვლილება.

მუხლი 4. კრედიტქულების განაწილების პრინციპი

სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულები ნაწილდება სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სავალდებულო აქტივობებსა და დამატებით საქმიანობებს შორის.

მუხლი 5. კრედიტქულების გაანგარიშების წესი

1. მასწავლებელი ფასდება მის მიერ განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შესაბამისად.

2. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
საგნის გამოცდა	10
2 გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	4
მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	5
	ჯამი - 19

3. უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
2 გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	4
გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	5
	ჯამი - 9 კრედიტქულა

4. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად უფროსი მასწავლებლისათვის დამატებითი სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
1 გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	2
საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა	2
	ჯამი - 4 კრედიტქულა

5. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებიდან უფროსმა მასწავლებელმა ჯამურად უნდა მოაგროვოს 13 კრედიტქულა, რაც არის შენარჩუნებისთვის საჭირო კრედიტქულებისა და დამატებითი სავალდებულო აქტივობის ჯამი.

6. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
5 სამოდელო გაკვეთილი	5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა	3
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	2
	ჯამში - 10 კრედიტქულა

7. მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

მენტორის სტატუსის მისანიჭებლად წამყვანი მასწავლებლისათვის დამატებითი სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
5 სამოდელო გაკვეთილი	5
	ჯამში - 5 კრედიტქულა

8. მენტორის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობებიდან წამყვანმა მასწავლებელმა ჯამურად უნდა მოაგროვოს 15 კრედიტქულა, რაც არის შენარჩუნებისთვის საჭირო კრედიტქულებისა და დამატებითი სავალდებულო აქტივობების ჯამი.

9. მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობები	**კრედიტქულები**
5 სამოდელო გაკვეთილი	5
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	3
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა	2
მასწავლებლების საჭიროების შეფასება და მის საფუძველზე მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების წარმართვა	3
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება	2
	ჯამი - 15 კრედიტქულა

10. სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის განმავლობაში, უფროსი მასწავლებლის/წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსის მისანიჭებლად და მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად, შესაბამისი მასწავლებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-2-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების გარდა, ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობებისათვის გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალიდან აირჩიოს განსახორციელებელი დამატებითი საქმიანობა/საქმიანობები.

11. უფროსი მასწავლებლის/წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსის მისანიჭებლად და მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად განსახორციელებელი დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის შესაბამისი კრედიტქულებია:

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი	**კრედიტქულა**

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა მენტორისა)	მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორისათვის	3 კრედიტქულა
	მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხვა წევრებისათვის	1 კრედიტქულა
პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა		1 კრედიტქულა
სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით, რომელიც დადასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენით		1 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)		1 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური	სტატიის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	1 კრედიტქულა

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	მეთოდური ლიტერატურის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	2 კრედიტქულა
	გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა	4 კრედიტქულა
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება (მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის)		2 კრედიტქულა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულის ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა		2 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა		25 საკონტაქტო საათი - 1 კრედიტქულა

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი საქმიანობების გარდა, უფროსი მასწავლებლის/წამყვანი მასწავლებლის/მენტორის სტატუსის მისანიჭებლად და მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად განსახორციელებელი დამატებითი საქმიანობაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, რომლისთვისაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება თითოეულ პროგრამაში/პროექტში მონაწილეობის შესაბამისი კრედიტქულა.

13. პრაქტიკოს მასწავლებელს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში განხორციელებული დამატებითი საქმიანობების შესაბამისი კრედიტქულები უღიარდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შემდგომ.

განმარტებითი ბარათი

,,კრედიტქულების შეწონვის წესის, კრედიტქულების განაწილების პრინციპების და კრედიტქულების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს კრედიტქულების შეწონვის წესის, კრედიტქულების განაწილების პრინციპებისა და კრედიტქულების გაანგარიშების წესის განსაზღვრას.

დადგენილების პროექტის თანახმად, დგინდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით (შემდგომში - სქემა) განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების წილების განაწილების პროცენტული და რიცხობრივი მაჩვენებლები.

დადგენილების პროექტის შესაბამისად, სქემით განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულები ნაწილდება სქემით განსაზღვრული სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სავალდებულო აქტივობებსა და დამატებით საქმიანობებს შორის. მასწავლებელი ფასდება მის მიერ განხორციელებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დადგენილების პროექტი განსაზღვრავს სქემით განსაზღვრული სტატუსის შესანარჩუნებლად/მისანიჭებლად მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების შესაბამისი კრედიტქულების რაოდენობას.

დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების პროექტის განხორციელება არ საჭიროებს ფინანსურ სახსრებს, შესაბამისად არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

დადგენილების პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, ასევე არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას იქონიებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია ,,სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N5 დადგენილებით შექმნილი კომისია.